ევროპის ეკონომიკური კომისია

“გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის მხარეთა შეხვედრა

მოხსენება მხარეთა მეორე შეხვედრის შესახებ

<u>დანართი</u>

გადაწყვეტილება 11/14

საერთაშორისო ფორუმებში ორჰუსის კონვენციის პრინციპების გამოყენების ხელშეწყობა

მიღებულია მხარეთა მეორე შეხვედრაზე
2005 წლის 25-27 მაისი, ალმა-ათა, ყაზახეთი

<u>ითვალისწინებენ რა</u> გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მეათე პრინციპს, რომელიც აცხადებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების უფრო ეფექტიანი გადაწყვეტა ხდება მასში ყველა დაინტერესებული მოქალაქის სათანადო დონეზე ჩართვისას;

<u>ითვალისწინებენ რა, აგრეთვე,</u> კონვენციის მე-5 მუხლის მე-7 პუნკტს, რომელიც ყოველი მხარისგან მოითხოვს, რომ ხელი შეუწყონ კონვენციის პრინციპების გამოყენებას საერთაშორისო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და საერთაშორისო ორგანიზაციების იმ საქმიანობისას, რომელიც ეხება გარემოსა და ლუკას დეკლარაციის 31-ე პუნკტს, რომელშიც მხარეები, ხელისმომწერი და სხვა სახელმწიფოები და დაინტერესებული მხარეები აღიარებენ კონვენციის ამ დებულების განსახორციელებლად ხელმძღვანელობის საჭიროებას;

<u>შემდგომში ითვალისწინებენ რა</u> ექსპერტთა ჯგუფისა და მხარეთა სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოებს საერთაშორისო ფორუმებში საზოგადოების მონაწილეობისა და, ასევე, სახელმძღვანელო პრინციპების სამუშაო ვერსიის მომზადების შესახებ;

<u>სჯერათ რა,</u> რომ ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები დაეხმარება მხარეებს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში და შესაძლოა

იყოს ფასეული ხელისმომწერთათვის და იმ სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან კონვენციის მხარეები, ასევე საერთაშორისო ფორუმებისთვის, მათი სამდივნოების ჩათვლით, და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის;

ხაზს უსვამენ რა ასეთი სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისთვის ფართო მაშტაბით განხორციელებული კონსულტაციების მნიშვნელობას,

მხარეთა შეხვედრა

1. იღებს რა ალმა-ათის სახელმძღვანელო პრინციპებს საერთაშორისო ფორუმებში ორჰუსის კონვენციის პრინციპების გამოყენების ხელშეწყობის შესახებ, როგორც ამ გადაწყვეტილების დანართს, რეკომენდაციას უწევს ყველა მხარეს მიმართონ ამ სახელმძღვანელო პრინციპებს იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა მესამე შეხვედრაზე მოხდება მათი გადასინჯვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორებების შეტანა ამ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და, ასევე აღიარებს, რომ მხარეებმა შესაძლოა მიმართონ სახელმძღვანელო პრინციპებს ეტაპობრივ დანერგვას, აკეთებს რა განსაკუთრებულ აქცენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვით ხელშეკრულებებზე;
2. იწვევს ხელისმომწერ და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს მხედველობაში მიიღონ და სათანადოდ გამოიყენეონ ეს სახელმძღვანელო პრინციპები;
3. იწვევს საერთაშორისო ფორუმებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელო პრინციპების ინტერესის სფეროს წარმოადგენენ, მხედველობაში მიიღონ კონვენციის პრინციპები, როგორც აღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპებშია ასახული და განიხილონ, თუ როგორ შეუძლიათ თავისი პროცესების ადაპტირება ამ სახელმძღვანელო პრინციპების უფრო ფართოდ გამოყენების მიზნით;
4. იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა შესაბამის მონაწილეებს ხელი შეუწყონ აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებას და განსაზღვრონ, თუ რამდენად უზრუნველყოფენ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობები და ღონიძიებები ამ სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენების შესაძლებლობას;
5. აყალიბებს სპეციალურ სამუშაო ჯგუფს იმისათვის, რომ მოცემული სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე შესაბამის საერთაშორისო ფორუმებთან აწარმოოს მოლაპარაკებები ამავე სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში;
6. სთხოვს სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომ სამდივნოს დახმარებით

განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

a) მხარეთა სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრაზე წარადგინოს კონსულტაციის სავარაუდო გეგმა და იმ საერთაშორისო ფორუმების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა მიმართონ კონსულტაციისთვის, ასევე – კონსულტაციის ჩატარების სახეები და ვადები;
b) განახორციელოს კონსულტაციის პროცესი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების მიხედვით და ყოველ შეხვედრაზე წარუდგინოს ანგარიში მიღწეული პროგრესის შესახებ;
c) სამუშაო ჯგუფს განსახილველად წარუდგინოს მოხსენება კონსულტაციების შედეგების შესახებ ;

7. იწვევს მხარეებს, ხელისმომწერ და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაინტერესებულ საერთაშორისო ფორუმებს და სხვა სათანადო ჯგუფებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამდივნოს მიაწოდონ კომენტარები მათი გამოცდილების შესახებ სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ შემდგომი განხილვისათვის.
8. ავალდებულებს მხარეთა სამუშაო ჯგუფს, სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დაგროვილი გამოცდილებისა და კონსულტაციების შედეგების განხილვის საფუძველზე, წარმოადგინოს რეკომენდაციები მხარეთა რიგით მესამე შეხვედრაზე.
9. იღებს საფრანგეთის შემოთავაზებას წარუძღვეს სამუშაო ჯგუფს.

დანართი

ალმა-ათის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო ფორუმებში ორჰუსის კონვენციის პრინციპების გამოყენების ხელშეწყობის შესახებ

I. მიზანი და მოქმედებათა სფერო

1. ამ სახელმძღვანელო პრინციპების ძირითადი მიზანია მხარეებისათვის ზოგადი ხელმძღვანელობის გაწევა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ფორუმებში ორჰუსის კონვენციის პრინციპების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. კონვენციის ამოცანების ეფექტიანი განხორციელებისათვის მხარეები უნდა მიისწრაფოდნენ ამ მითითებების უფრო ფართო გამოყენებისაკენ ისეთი მოსაზრებების გათვალისწინებით,

როგორიცაა: ყოველი შესაბამისი საერთაშორისო ფორუმისათვის ინსტიტუციური ერთობა და კონკრეტული მახასიათებლები, გადაწყვეტილეების მიღების პროცედურა, რესურსების ხასიათი და ხელმისაწვდომობა. ამ სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენების დონე და ხარისხი დამოკიდებული იქნება ყოველი საერთაშორისო ფორუმის შემადგენლობასა და კონკრეტულ წესებზე.

2. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზანს წარმოადგენს, რომ მხარეებს გაუწიონ ხელმძღვანელობა შემდეგ საკითხებში:

   a) საერთაშორისო ფორუმებზე შესაბამისი წესებისა და მეთოდების შემუშავება, მოდიფიცირება და გამოყენება (მაგალითად, პროცედურების გამჭვირვალობის, აკრედიტაციისა და სხვა საკითხების თაობაზე);

   b) ამ ფორუმებზე შესაბამისი ძირითადი საკითხებისადმი მიდგომა;

3. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ასევე გამიზნულია, მოახდინოს იმ ხელისმომწერი და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების და სხვა საერთაშორისო ფორუმების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვა წევრების სტიმულირება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელი შეუწყონ საერთაშორისო ფორუმებში კონვენციის პრინციპების გამოყენებას.

4. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ეხება საერთაშორისო ფორუმებს და მოიცავს:

   a) მოლაპარაკებების წარმოებას და საერთაშორისო დონეზე მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების განხორციელებას და მათი ეგიდით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს;

   b) მოლაპარაკებების წარმოებას და საერთაშორისო დონეზე სხვა მსგავსი შეთანხმებების განხორციელებას, თუ ამ შეთანხმებების თანახმად მიღებული გადაწყვეტილებები და ქმედებები ეხება გარემოს საკითხებს ან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე;

   c) საერთაშორისო დონეზე გამართულ მთავრობათაშორის კონფერენციებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ გარემოზე, ან მოიცავენ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით კომპონენტს და შესაბამის მოსამზადებელ ან შემდგომ პროცესებს;

   d) საერთაშორისო გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკის ფორუმებს; და

   e) სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარემოს საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებს.

5. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ეხება ყველა მსგავს საერთაშორისო ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით საკითხებთან.

6. ეს სახელმძღვანელო პრინციპები გამიზნულია იმისათვის, რომ მისმა გამოყენებამ დადებითი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე იმ საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, რომელთა მოღვაწეობაშიც კონვენციის მხარეები იღებენ

მონაწილეობას.

II. ტერმინთა განსაზღვრება

7. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნისათვის, ”ორჰუსის კონვენცია” და ”კონვენცია” ნიშნავს UNECE-ს კონვენციას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
8. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნისათვის, ტერმინები “მხარე”, ”გარემოსდაცვითი ინფორმაცია”, ”საზოგადოება” და ”დაინტერესებული საზოგადოება” უნდა იქნეს აღქმული როგორც *mutatis mutandis*, კონვენციის მე-2 მუხლის 1, 3, 4, 5 პუნკტებში მოცემული განმარტებების მიხედვით. [1]
9. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნისათვის, ტერმინი ”საერთაშორისო ფორუმი” ნიშნავს ნებისმიერ მრავალმხრივ საერთაშორისო გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს, ან სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მოღვაწეობს გარემოსდაცვით სფეროში, როგორც ნახსენებია მე-4 პუნქტში. ეს არ მოიცავს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციას ან ფორუმს, რომელშიც მხოლოდ ეკონომიკური ინტეგრაციის ის წევრი ქვეყნები მონაწილეობენ, რომლებიც ქმნიან რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციას;
10. ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნისათვის, ”საერთაშორისო ხელმისაწვდომობა”, აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, გულისხმობს საერთაშორისო ფორუმებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას.

III. ზოგადი მოსაზრებანი

11. გარემოსდაცვით საკითხთხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ყველა დონეზე ეფექტიანი მმართველობის ფუნდამენტურ ელემენტებს და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდგრადობის მისაღწევად.
12. გარემოსდაცვით საკითხებზე საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და იმ პროცედურათა შემუშავებითა და გაძლიერებით, რაც ხელს უწყობს ამ შესაძლებლობების გამოყენებას, უმჯობესდება გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების ხარისხი.
13. სამართლიანი და თანასწორი საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო პროცესებისა და მექანიზმების ადაპტირება-სტრუქტურირების საჭიროება.
14. საერთაშორისო ხელმისაწვდომობის სტრუქტურირებისათვის აუცილებელია

ყურადღება დაეთმოს საზოგადოების ფართო მასებისათვის ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

15. იქ, სადაც საზოგადოების წევრებს აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები, რესურსები, სოციალურ-კულტურული გარემოებები, ეკონომიკური ან პოლიტიკური გავლენა, უნდა ჩატარდეს სპეციალური ღონისძიებები გაწონასწორებული და სამართლიანი პროცესების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ხელმისაწვდომობის მისაღწევად საჭიროა დაიგეგმოს შესაბამისი პროცესები და მექანიზმები გამჭვირვალობის ხელშესაწყობად, უთანასწორობის შემცირებისა და გადაჭარბებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის თავიდან ასაცილებლად.
16. საერთაშორისო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ უნდა იყოს განურჩევლად მოქალაქეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ეროვნებისა. იურიდიული პირის შემთხვევაში, საერთაშორისო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განურჩევლად მისი მოღვაწეობის, ადგილმდებარეობისა თუ რეგისტრაციის ადგილისა.
17. ორგანიზაციის შესაძლებლობათა გაძლიერებამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საერთაშორისო ხელმისაწვდომობის ხელეშეწყობის პორცესში დაინტერსებული საზოგადოებისთვის, კერძოდ, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანზიაციებისათვის და, განსაკუთრებით კი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის.
18. საერთაშორისო ხელმისაწვდომობის გაძლიერება შეიძლება გულისხმობდეს რესურსების ინვესტირებას. ეფექტიანი და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად, საჭიროების შემთხვევაში, რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო ფორმით და იმ პირობების თანახმად, რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნეს ყოველ შესაბამის საერთაშორისო ფორუმზე.

IV. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

19. თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ფორუმებს შეიმუშაონ და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ გამჭვირვალე და გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკისა და პროცედურების ნაკრები, რომელიც დაარეგულირებს მათ ხელთ არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდებას, რათა საზოგადოების ხელმისაწვდომობას უფრო სისტემური და საიმედო ხასიათი მიეცეს. ასეთმა პოლიტიკამ და პროცედურებმა უფრო გასაგები უნდა გახადონ, გააუმჯობესონ და გაადვილონ შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
20. გარემოსდაცვითი ინფორმაციის შემცველი ყველა ოფიციალური

დოკუმენტი, რომელიც თითოეულ საერთაშორისო ფორუმზე იქნა შემუშავებული და გავრცელებული, საზოგადოებისათვის დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტით ან სხვა რაიმე შესაბამისი საშუალებებით 25-ე პუნქტებში ჩამოყალიბებული წესების გათვალისწინებით.

21. საზოგადოებისთვის ინფორმაციის ეფექტიანი გადაცემისთვის ხელი უნდა შეეწყოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას. ინფომაცია უნდა იყოს უფასო და განთავსებული ისეთი ელექტონული საინფომაციო საშუალებებით, როგორიცაა: საინფორმაციო ვებ გვერდები (Clearing houses), ინტერაქტიული მონაცემთა ბაზები და რეესტრები. შესაბამის შემთხვევებში, საჭიროა განხორციელდეს მიმდინარე ღონისძიებათა პირდაპირ ეთერში ტრანსლიაცია და ასევე ალტერნატიული მეთოდების გამოყენება საზოგადოების უფრო ფართო მასების ჩართვისათვის.

22. გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს წინასწარ, გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით, შესაბამისი საერთაშორისო ფორუმის ოფიციალურ ენაზე, რათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყოს ცოდნის გაღრმავებას და ინფორმაციის გასაგები ფორმით მოწოდებას. ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ფორუმებზე კოორდინატორების ან საკონტაქტო პირების დანიშვნას, რაც გაადვილებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

23. ამ თავის შემდგომი პუნქტების ტანახმად, საზოგადოების ნებისმიერ წევრს მოთხოვნის შემთხვევაში და მიზეზის დასახელების გარეშე, უნდა შეეძლოს გარემოსდაცვით საკითხებზე იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც შემუშავებულია ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე და მის მფლობელობაშია.

24. საზოგადოების წარმომადგენლის მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ეს მოთხოვნა შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილებლდეს და, ნებისმიერ შემთხვევაში, ინფორმაცის მიწოდების ვადები არ უნდა აღემატებოდეს კონვენციით განსაზღვრულ ერთ თვეს.

25. მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ უარის თქმისათვის კონკრეტული საფუძველის არსებობისას, რომელიც განსაზღვრულია კონვენციის შესაბამის პუნქტებში. უარის თქმის კონკრეტული საფუძველი მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული იმის გათვალისწინებით, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნება საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს.

26. ინფორმაციის მთლიანად ან ნაწილობრივ მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს წერილობითი უარი იმ შემთხვევებში, თუ თვით მოთხოვნა წერილობითი ფორმით იყო წარდგენილი, ან თუ ამას ინფორმაციის მომთხოვნი პირი მოითხოვს. ამასთან ერთად, წერილობით

პასუხში მითითებული უნდა იყოს უარის მიზეზები და ინფორმაციის მომთხოვნს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ხელახალი განხილვის ნებისმიერი პროცედურის შესაძლებლობაზე მე-40 პუნქტის მიხედვით.

27. გარემოსდაცვითი ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო მოთხოვნილი, თუ კი ის ამ ფორმით არსებობს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნდა იყოს უფასო ან გადასახადი უნდა იყოს ზომიერი. თუ დაწესებულია საფასური, მაშინ მისი ტარიფები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

V. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში

28. საზოგადოების მონაწილეობა, როგორც წესი, ხელს უწყობს საერთაშორისო ფორუმებში გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის ამაღლებას, რაც განპირობებულია მოცემულ პროცესში სხვადასხვა აზრების გამოვლენითა და საექსპერტო ცოდნის შეტანით და, ასევე, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებით.

29. დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმების შეხვედრებზე გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ სტადიაზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გარემოს საკითხებთან, უნდა იყოს შეუზღუდავი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს, და თუ შესაძლებელია, უარის თქმის წინასწარ ჩამოყალიბებული ნათელი და გამჭვირვალე სტანდარტები.

30. დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საერთაშორისო კონტექსტში, დაინტერესებულ პირებს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ:

ა) საზოგადოების წევრები, რომლებზეც უშუალოდ ხდება ან შესაძლოა მოხდეს ზემოქმედება;

ბ) საზოგადოებრივი ინტერესის წარმომადგენელი ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად ”მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ორგანიზაციები”, და

გ) სხვა ინტერესთა წრეების წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება იყვნენ განსახილველი პრობლემების მიზეზი, აღრმავებდნენ ამ პრობლემებს, იყვნენ მათი ზემოქმედების ქვეშ ან ჰქონდეთ შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ ამ პრობლემათა სიმძაფრის შემსუბუქებას.

31. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ფორუმი ან მასში მიმდინარე პროცესები უნდა იყოს ღია საზოგადოებისათვის, მასში მონაწილე საზოგადოების წარმომადგენელთა რიცხვი შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პრაქტიკული მოსაზრებების გამო აუცილებელი და გარდაუვალია.

ყოველი ასეთი შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხასიათსა და ეტაპს და მონაწილეობის მიღების ფორმას და უნდა იყოს მიმართული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისაკენ. აკრედიტაციისა და გადარჩევის პროცედურების გამოყენებისას აუცილებელია, რომ ეს პროცედურები ემყარებოდნენ მკაცრად განსაზღვრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს და საზოგადოება შესაბამისად იყოს ინფორმირებული ამ პროცედურების შესახებ. ასეთი პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი, ანგარიშვალდებული და ხელმისაწვდომი და მიზნად ისახავდეს წარმომადგენლობითი, დაბალანსებული და სამართლიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, ზედმეტი ფორმალურობის დაუშვებლობასთან ერთად. გადარჩევის კრიტერიუმებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს: გამოცდილება, გეოგრაფიული, დარგობრივი, პროფესიული ან სხვა შესაბამისი კონტექსტით წარმომადგენლობა და, ასევე, სამუშაო ენის ფლობა, მე-17 და მე-18 პარაგრაფების სათანადოდ გათვალისწინებით.

32. საერთაშორისო პროცესებისათვის ხელსაყრელი უნდა იყოს საზოგადოების ადრეულ ეტაპებზე მონაწილეობა, რაც საერთაშორისო დონეზე მოიცავს კონვენციების შესახებ მოლაპარაკების წარმოებას და კონვენციების გამოყენებას, ისევე, როგორც გადაწყვეტილებების მომზადებას, ფორმულირებას, განხორციელებასა და ღონისძიებათა მომზადებას.

33. დაინტერესებული საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მრავალი ფორმით იმ სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებით, როგორიცაა საერთაშორისო ფორუმის ტიპი და თვით გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხასიათი და ეტაპი. საერთაშორისო ფორუმებზე შეხვედრებისას ეს ფორმები შეიძლება მოიცავდეს: დამკვირვებლის სტატუსს, მრჩეველთა კომიტეტებს შესაბამისი დაინტერესებული სექტორისათვის, ფორუმებს და დიალოგს საზოგადოების წევრებისთვის, მოვლენების ტრანსლირებას და, ასევე, კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას.

34. სხვა შესაბამის პუნქტებში ასახული სპეციფიური მითითებების მიხედვით, საერთაშორისო ფორუმებზე შეხვედრებისას საზოგადოების მონაწილეობა უნდა გულისხმობდეს შემდეგს: შეხვედრისათვის შემუშავებული გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის ხელმისაწვდომობის უფლებას, წერილობითი განცხადებების გაავრცელებისა და აზრის გამოთქმის უფლებას ისე, რომ არ შეიზღუდოს საერთაშორისო ფორუმების შესაძლებლობა – განსაზღვრონ თავისი საქმიანობის პრიორიტეტები და გამოიყენონ პროცედურით

დადგენილი წესები.

35. საერთაშორისო ფორუმებში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა სტადიისათვის უნდა მოიცავდეს გონივრულ ვადებს საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებული საზოგადოების მომზადებისათვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ეფექტიანი მონაწილეობისათვის საკმარისი დროის უზრუნველსაყოფად. მონაწილეობის მიღებისათვის განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების შესაბამის დოკუმენტებთან ხელმისაწვდომობის ვადებს, რათა ხელი შეეწყოს ინფორმირებული საზოგადოების მონაწილეობას. საზოგადოების მონაწილეობა მოცემულ საერთაშორისო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ხდებოდეს იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს არჩევანის თავისუფლება და საზოგადოებამ შეიძლება ეფექტიანი გავლენა იქონიოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

36. საზოგადოებას დროულად უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობების, პროცედურების, კრიტერიუმებისა და ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, როგორიცაა: სამუშაო დოკუმენტები კომენტარებისთვის, საბოლოო დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და ანგარიშები. ამ ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილ უნდა იყოს ვებ-გვერდების საშუალებით ან, თუ შესაძლებელია, პირდაპირ მიეწოდოს საზოგადოების იმ წევრებს, რომელთაც გამოთქვეს სურვილი ასეთი სახით მიეღოთ შეტყობინება ან რომლებიც მიაკუთვნეს იმ კატეგორიას, რომელიც საჭიროებს პირდაპირ კომუნიკაციას. გადაწყვეტილების მიღების ხარისხის უზრუნველსაყოფად უნდა დამყარდეს შენიშვნების წარდგენის გამჭვირვალე და მკვეთრად განსაზღვრული სტანდარტები და, ამასთანავე, საზოგადოება სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული.

37. გადაწყვეტილებებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს. ხელი უნდა შეეწყოს საბოლოო გადაწყვეტილებებზე საზოგადოების მონაწილეობის ზეგავლენის გამჭვირვალობას საზოგადოების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

38. საერთაშორისო ფორუმებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობა ძლიერდება ფართოდ წარმოდგენილი და მკვეთრად კოორდინირებული, ინფორმირებული, მცოდნე და კარგად გაცნობიერებული საზოგადოების მონაწილეობით. ყველა ის ღონისძიება, რაც დაეხმარება ასეთ მონაწილეობას, უნდა იქნეს აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი და იქნეს წახალისებული. მხარეები ჩართულნი უნდა იყვნენ და უნდა მოიწვიონ სხვა შესაბამისი ორგანიზაციები და დონორები რომ ჩაებან შესაფერის შესაძლებლობათა

გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში იმ საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც მე-17 და მე-18 პუნქტებშია მოცემული.

39. აღნიშნავენ რა, რომ რიგ საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მიღების გასაადვილებლად მგზავრობისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად ფინანსური დახმარების გაწევის ტრადიციული მექანიზმები შეიძლება იყოს ძვირადღირებული და ამით შეზღუდოს შესაძლო მონაწილეთა რაოდენობა, აუცილებელია არსებული ხარჯთაღრიცხვის პრაქტიკის შესაფერისი ნოვატორული, ნაკლებ ხარჯიანი და პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მონაწილეობის შესაძლებლობის მაქსიმალური გაფართოების მიზნით.

VI. გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის პროცედურები

40. ყოველმა მხარემ უნდა წაახალისოს საერთაშორისო ფორუმებში შესაბამისი ზომების მიღება, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოების ხემისაწვდომობას იმ პროცედურების გადასახედად, რომლებიც ეხება ყოველი ფორუმის წესებსა და სტანდარტებს ინფომაციის ხემისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის სფეროში ამ სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში.

შენიშვნები

კონვენციის მე- 2 მუხლის შესაბამისი განმარტებები:

”ამ კონვენციის მიზნებისთვის

1. მხარე- ნიშნავს (თუ ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს) კონვენციის ხელმომწერ მხარეს
2. {...}
3. ”გარემოსდაცვითი ინფორმაცია” გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზულური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა ფორმით მიწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

   ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირბული ორგანიზმების ჩათვლით; და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

   ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია,

ხმაური და რადიაცია, ქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ან სავარაუდოა, რომ მოახდენენ ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯმოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და სხვა მეთოდები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ბ) ქვეპარაგრაფ-ში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

4. ”საზოგადოება” ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობისა და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს.
5. ”დაინტერესებული საზოგადოება” ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.